საქართ. მემარცხენე სოც-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 313

სამშაბათი, ნოემბრის 14 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. — პროვინც. 5000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ოპერა

სამშაბათს 14 ნოემბერს

ა ლ ი

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულ.
კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.
კრ. 144 1—1

## მეოცნებე ხალხი

ჩვენში, სამწუხაროდ, ყოველთვის მრავლად ყოფილა და დღესაც საკმაოდ მოიპოვება პოლიტიკოსები პოეზიაში და პოეტები პოლიტიკაში.

ეს მოვლენა შეიძლება შედეგი იყოს ჩვენი დაუდეგრობელი ტემპერამენტის ან მთლიანობისადმი მისწრაფების. შეიძლება ჩვენს მცირერიცხოვნებაში იმარხებოდეს მიზეზი ამ მოვლენის და ამიტომ იყოს, რომ ხშირად ჩვენი მეფენი პოეტობდნენ, ხოლო პოეტები საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა დარგში იღებდნენ მონაწილეობას. რა თქმა უნდა ამ მოვლენის მიზეზთა შერჩევას არ ვისახავთ მიზნად, ვიტყვით მხოლოდ, რომ მემარჯვენე პარტიები მეტად მეოცნებე ხალხის ბანაკად იქცა.

განწირული გამოდგება ის პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც თავის სასურველობის სფეროში ათავსებს პოლიტიკურ საკითხებს. პოლიტიკა უნდა [illegible] იმას რაც უნდა იყოს, მაგრამ რაც უნდა იყოს კიდევ არ ნიშნავს იმას, რაც გსურს რომ იყოს.

ასეთ სფეროში დაისვა ზოგიერთი ელემენტისათვის პოლიტიკური საკითხები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას.

არიან ეგ. წოდებული პოლიტიკური „მოაზროვნენი“ რომელნიც ჩამოთვლიან ხოლმე მიუღებელ ფაქტებს ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და განაცხადებენ, რომ სრული საქართველოს სრული თავისუფლება და სხ. და სხ.

ეს ხალხი სიგარეთ პოლიტიკის შემყურე ხალხია. იგი ანტანტის ძალების ძლევამოსილების ფიქრით არის გატაცებული.

რა თქმა უნდა საერთაშორისო პოლიტიკური ძალების ანალიზს გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ეპოქაში რაიმე პოლიტიკის შენება, მაგრამ უბედურება „განწირული ხალხისა“ იმაშია, რომ ისინი ვერ ხედავენ მოვლენებს ისე, როგორც არიან მოვლენები სინამდვილეში. ზოგიერთი ელემენტებისათვის პოლიტიკური ილიუზიების მიერ ნაშენი ქიმერები უფრო მტკიცეა, ვიდრე სინამდვილის ცოცხალი ფაქტები.

მემარჯვენე პარტიებმა დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა სწორედ ასეთი ქიმერების შენებას შეუდგნენ. ემიგრაციის მდგომარეობაში მყოფნი „პოლიტიკოსნი“ მამადავითის მთიდან ბინოკლით გახედავენ ხოლმე ევროპიდან მომავალ შორა გზას აზიისაკენ და ანთრობდ სულიერ ცხოვრებას ელანდებოდა ევროპის რეაქციის სიძლიერე, რომელიც მოიწევდა საბჭოთა ქვეყნებისაკენ და დამსხვრევს უეჭველად ამ უკანასკნელს.

ვაშინგტონი, კანა, გენუა, ჰააგა, ლონდონი იყო ის ცენტრი, საიდანაც მემარჯვენე პარტიები მოელოდნენ მხსნელი ცისარტყელის შუქს, მაგრამ დღემდე პოლიტიკურ ცაზედ არ ჩანს მათი ნატრი ემბლემა.

არჩილ ჯორჯაძე, გაქცეული რუსეთის რეაქციისაგან, პარიზში სწერდა, რომ რაც უნდა გასაჭირში ჩავარდეს ერი, სასოწარკვეთილებას არ უნდა მიეცეს იგი, მისი სიცოცხლის ყოფნა არ ყოფნა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

და ამ შემთხვევაშიაც ჩვენი მოვალეობაა თვით ერში, მის არსებულ ძალთა განწყობილებაში უნდა ვეძებოთ ხსნა და იმედი უკეთესი მომავლისა. ერი უძლურდება და კვდება არა ბიოლოგიური კანონის ძალით, არამედ სოციალ პოლიტიკური ორგანიზაციის უუნარობის გამო. ორგანიზაცია ერის ძალებისა არის უტყუარი ფარხმალი და გარანტია მისი არსებობა—განვითარებისა.

რა თქმა უნდა დღეს, ბრძოლის პერიოდში „გასაჭირშია“ არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ მთელი კაცობრიობა. ყველგან ადამიანისა და ადამიანების პროექტები მუშავდება და საკვირველი არ არის, რომ საკაცობრიო იდეათა ბრძოლის ხანაში „გასაჭირში“ იმყოფებოდეს მებრძოლი ქვეყნები. ასეთ მომენტში უმთავრესია თუ როგორ პოლიტიკურ ფორმულას მონახავ, როგორ წარმართავ საზოგადოებრივ ძალებს.

ჩვენში მომქმედი პოლიტიკური პარტიები მენშევიკური ხელისუფლების დროს ნეიტრალობას გაჰკიოდენ და „საკუთარ ძალას“ ასახელებდნენ სახელმწიფოებრივი ცხოვრების დაცვისა და გამტკიცებისათვის. საერთაშორისო პოლიტიკა სავსებით დაივიწყა პოლიტიკურმა პარტიებმა და ვერ გაითვალისწინა ის პოლიტიკური ნიუანსები, რომელიც ისახებოდა ჩვენს ირგვლივ და რომელიც ასეთსა თუ ისეთ გავლენას მოახდენდა ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზედ.

ეროვნული თავისუფლების მოპოვებული ხალხი, მოწყურებული ამ თავისუფლებისა მთელი საუკუნის გასწვრივ, ისე გაიტაცა დამოუკიდებლობის იდეამ, რომ ყოველივე დაივიწყა, რაც მის ირგვლივ ხდებოდა.

ცალმხრივი იქნება ჩვენი შეხედულება თუ არ აღვნიშნავთ, რომ ანტანტის ძალებთან მენშევიზმი ფლირტობდა კონტაქტის დაჭერას და მისი იმედები იყო არა „აზიის ბარბაროსობისაკენ“ არამედ „დასავლეთის იმპერიალიზმისაკენ“.

ჩვენ იმ თავითვე აღვნიშნავდით, რომ ევროპის ძალებზე დაყრდნობა მიუღებელი იყო, როგორც პრინციპიალურად ისე ტაქტიკურადაც, რადგან ევროპის ძალები იშლებოდა, იქსაქსებოდა, ხოლო საბჭოთა რესპუბლიკები მტკიცდებოდა და მაგრდებოდა.

თუ რამდენად გამართლდა დასავლეთის ორიენტაციის ხალხის პოლიტიკა, დღეს ეს უკვე ფაქტის საკითხია. აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ ჩვენში მომქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ შეიძლეს ვერც რევოლიუციონურ და სოციალისტურ ფრონტის შიდეთ პრინციპიალურად და ვერ შესძლეს ვერც მომენტის შეფასება რეალურად.

ისინი დღიდან ოქტომბრის რევოლიუციისა სულ ოცნებობენ რევოლიუციის დამარცხების შესახებ და ამ ოცნებათა ვარჯიშობაში ისე მოეშალათ ინტელექტუალური აპარატი, რომ პროფესიონალი მეოცნებენი გახდნენ. კიდევ კარგი, რომ მათი ოცნება პოეზიაში გადადიოდეს, თორემ „პოლიტიკოსთა“ გახუნებული ოცნება მწარე ღიმილს იწვევს.

ხ.—ელი.

## ნარკვევი

**საფრანგეთის კომპარტიის პარიზის ყრილობა.** 15—19 ოქტომბრის რიცხვებში პარიზში ადგილი ქონდა საფრანგეთის კომპარტიის ყრილობას, რომელიც არკვევდა იმ რთულ კრიზისს რომელშიაც პარტია იმყოფება უკვე ერთი წლის განმავლობაში. ხუთი დღის გაცხარებულმა დებატებმა ნათლად გამოარკვიეს პარტიის შემადგენელი ელემენტების სულისკვეთება და ის სხვა და სხვაობა შეხედულებათა, რომელიც ცხადად დაისახა ყრილობაზე. პარტია ეხლა სცნობს, რომ მან თავი უნდა გაანებოს „ავტონომიზმს“ და მკაცრად უნდა გაატაროს ინტერნაციონალის რკინის დისციპლინა.

**კრიზისის საფუძველი.** პარტიამ ორი წლის წინეთ ტურის ყრილობაზე განდევნა დისიდენტები რენოდელი, ბლიუმი, ლონგე და სხვები, მაგრამ პარტიაში მაინც დარჩა ოპორტიუნისტური და პაციფისტური ელემენტები, რომლებიც საბოტაჟს ეწეოდენ პარტიის აქტიური მოქმედების მიმართ და ხელს უშლიდენ მის რევოლიუციურ საქმიანობას. პარტიის კრიზისი პირველად გამოაშკარავდა მარსელის ყრილობაზედ. ყრილობის უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა სუვარინს და არ გაიყვანა იგი ცეკას წევრად. ეს კრიზისი არ დასრულებულა. ვერფეილი, ფაბრი, მერიკა ე. ი. პაციფისტები და ავტონომისტები და მაიიუ და ლაფონი, რომელნიც წინააღმდეგი იყვნენ პარტიის მონაწილეობისა პროფმოძრაობაში აგრძელებდენ თავის მოღვაწეობას. მათი თავდასხმა კომინტერნის მიმართ თან და თან ძლიერდებოდა და ისინი უარყოფდენ კომინტერნის ძირეულ პრინციპებს და ქმნიდნენ ატმოსფერას „მოსკოვის დიქტატურის“ წინააღმდეგ.

**ერთიანი ფრონტის ტაქტიკა.** პარტიის მდგომარეობა გართულდა, როდესაც საკითხი დაისვა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის შესახებ. კომინტერნის აღმასკომში სპეციალურად დაისვა საკითხი საფრანგეთის კომპარტიისა, რომლის ერთი შემადგენელი ნაწილი უარყოფდა მთლიანი ფრონტის ტაქტიკას. კომინტერნის აღმასკომმა დაადგინა, რომ პარტიას გაეტარებია ეს ტაქტიკა და ებრძოლა მემარჯვენეთა წინააღმდეგ. ფაბრი და ვერფეილი გამოვიდნენ კომინტერნის აღმასკომის დადგენილების წინააღმდეგ, რის გამო საფრანგეთის დელეგაციამ ისინი გააფრთხილა, რომ თუ არ შეწყვეტენ თავის გამოსვლებს, გამორიცხული იქნებიან პარტიიდან.

**მიმართულება საფრანგეთის კომპარტიაში.** ყრილობის წინ თავი იჩინა ხუთმა მიმართულებამ. უკიდურესი მემარჯვენენი—ვერფეილების ხელმძღვანელობით, რომლებსაც ადგილიც არ უნდა ქონდეს კომუნისტურ პარტიაში. მემარჯვენენი—დანიელ რენუსა და დიურეს მეთაურობით, რომელიც ებრძოდა მუშათა მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ და პარტიის მონაწილეობას უარყოფდა პროფმოძრაობაში. ცენტრი—ფროსარისა და კაშენის მეთაურობით, რომელიც შემარიგებელი იყო და მიუძღვის პასუხისმგებლობა კრიზისის მიჩქმალვაში.

ცენტრი იყო გაბატონებული ცეკაში, რომლის მდივნად ითვლებოდა ფროსარი ხოლო „ჰუმანიტეს“ რედაქტორად კაშენი.

მემარცხენენი—სუვარინისა და ტრეინის მეთაურობით, რომელიც იდგა ინტერნაციონალიც პლატფორმაზე, რომლის გავლენა საკმაოდ ძლიერია. არიან აგრეთვე უკიდურესი მემარცხენენი, რომელთაც მეტად მცირე გავლენა აქვს.

**შეთანხმება ცენტრსა და მემარცხენეებს შორის.** კომინტერნის აღმასკომის წინადადებით მოხდა შეთანხმება ცენტრსა და მემარცხენეებს შორის, რომლებმაც გამოიმუშავეს საერთო რეზოლიუცია, მაგრამ „ჰუმანიტეში“ დაიწყო წერილები წინააღმდეგ შეთანხმებისა და ცენტრის ზოგიერთი წევრების უკმაყოფილების გამოყენებით გამარჯვება წილად ხვდა მემარჯვენეებს.

**კონფლიქტი ხელმძღვანელ ორგანოთა შედგენის ირგვლივ.** ხელმძღვანელ ორგანოების შედგენის დროს თავი იჩინა უთანხმოებამ. მემარცხენეებმა მოითხოვეს შესაფერი ადგილი ცეკაში, რადგან გამოცდილებამ დაარწმუნა ის, რომ ყრილობაზე გამარჯვება და დელეგატთა უმრავლესობის ყოლაც არაფერს შედეგს მიაღწევს, თუ ხელმძღვანელ ორგანოებში ადგილი არ იქნა დაჭერილი. ფროსარმა დაპირა გასვლა, რის გამო მემარცხენეებმა დათმეს, რომ ის დარჩენილიყო ცეკას გენერალურ მდივნად, მაგრამ მოითხოვეს, რომ პასუხისმგებელი რედაქტორის ადგილი დაეჭირა მათ წარმომადგენლებს. ცენტრმა უარყო ეს წინადადება, რის შემდეგ აღმასკომის დელეგაციამ შეიტანა წინადადება, რომ შეედგინათ პოლიტბიურო და რედაქცია პარიტეტულ საფუძვლებზე, მემარცხენენი დათანხმდნენ. ცენტრმა გადაიტანა საკითხი ფრაქციაში. მემარჯვენენი შეეცადენ ცუდი ატმოსფერის შექმნას.

**განხეთქილება ცენტრსა და მემარცხენეებს შორის.** ყრილობის მესამე დღეს ცენტრმა გამოაცხადა, რომ ის არ ემორჩილება კომინტერნის აღმასკომის დელეგაციის შემათანხმებელ წინადადებებს და გადაწყვეტილი აქვს საკითხის გადაჭრა მიანდოს თვით ყრილობას. ცენტრმა დარღვეულად გამოაცხადა მემარცხენეებთან შეთანხმება და ისევ ჩადგა კომინტერნის აღმასკომს ოპოზიციაში.

კამათმა მიიღო მეტად ცხარე ხასიათი. ფროსარმა გულახდილად აღიარა მისი მდგომარეობის სიძნელე, რადგან მას სურდა კომინტერნის ხაზი გაეტარებია, რის შემდეგ მან განაცხადა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ცენტრმა პარტიის ხელმძღვანელობისა. უკანასკნელ სხდომაზე მემარცხენეებმა შეიტანა წინადადება ხელმძღვანელ ორგანოების პარიტეტულ საფუძველზე არჩევის შესახებ. კაშენმა ცენტრის მხრივ წარმოადგინა სია 24 კაცისაგან ცეკას არჩევნებისათვის. ცენტრმა მიიღო 1,698 ხმა, მემარცხენეებმა [illegible] 814. მემარცხენეებმა უარი განაცხადა პასუხისმგებელი პოსტების დაჭერაზე და საკითხი გადაიტანა მეოთხე კონგრესზე.

**ყრილობის შედეგები.** ამ რიგად პარიზის ყრილობამ ვერ დაასრულა პარტიის კრიზისი. საკითხი უნდა გაირჩეს ისევ კომინტერნის მე-4 კონგრესზე. ყრილობამ გადადგა ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მით, რომ პარტიიდან გაამძევა ვერფეილი და მაიიუს თანამოაზრენი და ამით მან დაამტკიცა, რომ პარტია ადგილს არ მისცემს თავის წრეში ანტიკომუნისტური მიმართულებისა და საბოტაჟის ხალხს. ყრილობამ დიდი უმრავლესობით მიიღო საერთო პოლიტიკისა, მთლიანი ფრონტის ტაქტიკისა და პროფმოძრაობაში მონაწილეობის მიღების დებულებანი. ყრილობამ დაადგინა, რომ არსებობს საუკეთესო ელემენტები კომპარტიის ძლიერი რაზმის შედგენისათვის.

„პრავდა“ № 248

## კომინტერნის კონგრესი

**კონგრესის შემადგენლობა.**

კომინტერნის აღმასკომის მიერ მეოთხე კონგრესზედ მიწვეულია 47 ქვეყნის კომუნისტური პარტია. გარდა ამისა კონგრესში მონაწილეობას მიიღებენ სათათბირო ხმით—ხივის, ბუხარის, მონღოლეთის, კორეის, ფიუმეს და პალესტინის წარმომადგენელნი. სულ მიწვეულია 352 დელეგატი. ცალკე ქვეყნების პარტიებიდან რიცხვი დელეგატებისა განაწილებულია შემდეგ-ნაირად: გერმანეთი—24, საფრანგეთი—24, იტალია—20, ჩეხო-სლოვაკია—20, სამხრეთ-აფრიკა—1, ამერიკა—10, არგენტინა—2, სომხეთი—1, აზერბეიჯანი—2, ავსტრალია—2, ბაქო—1, ბაშკირეთი—1, ბელგია—1, ინგლისი—10, ჩინეთი—3, დანია—2, ესტონეთი—2, ფინლიანდია—6, შორეულ-აღმოსავლეთი—1, საქართველო—2, საბერძნეთი—1, ჰოლანდია—1, ინდოეთი—4, ირლანდია—3, ისლანდია—1, იავა—1, სამხრეთ-სლავია—6, კანადა—1, კორეია—1, ლატვია—6, ლიტვა—2, მექსიკა—1, ნორვეგია—6, ავსტრია—3, პოლონეთი—10, რუმინეთი—4, რუსეთი75, შვეცია—3, შვეიცარია—3, თათართა რესპუბლიკა—1, ანგორა—2, კონსტანტინოპოლი—2, თურქესტანი—1, უკრაინა—10, უნგრეთი—3, ბელორუსეთი—1, პორტუგალია—1, იაპონია—6, ჩილი—1, ურუგვაი—1, ბრაზილია—1, ესპანეთი—2; ახალგაზრდათა კომინტერნი—20, პროფ-ინტერნი—20.

**ხმების განაწილება კონგრესზე.**

კონგრესის დელეგატების ხმები კენჭის ყრის დროს განაწილებულია 5 ჯგუფად; პირველ ჯგუფში არიან—გერმანეთი, საფრანგეთი, იტალია, რუსეთი, ჩეხო-სლოვაკია, ახალგაზრდათა კომინტერნი და პროფინტერნი, თითეულს 45 ხმა, სულ 315 ხმა. მეორე ჯგუფი—ინგლისი, ამერიკა, პოლონეთი, უკრაინა, იაპონია, ნორვეგია, სამხრეთ-სლავია, ბოლგარეთი, ფინეთი, თითეულს 30, სულ 270 ხმა. მესამე ჯგუფი—ისპანეთი, რუმინეთი, შვეცია, ლატვია, შვეიცარია, ჰოლანდია, ავსტრია, ბელგია, თითეულს 20, სულ 160 ხმა; მეოთხე ჯგუფი—უნგრეთი, საბერძნეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ირლანდია, აზერბეიჯანი, დანია, საქართველო, ლიტვა, ესტონია, სპარსეთი, ოსმალეთი, არგენტინა, ავსტრია, ათი-ათი ხმა—სულ 140 ხმა, მეხუთე ჯგუფი; სამხრეთ აფრიკა, კანადა, იავა, პორტუგალია, ჩილი, ბრაზილია, ურუგვაი, მექსიკა, სომხეთი—ხუთი ხმა; სულ 45 ხმა; საერთოდ კონგრესში მიიღებს მონაწილეობას 47 ქვეყანა 920 ხმით. აგრეთვე დაშვებულია ხუთი წარმომადგენელი სათათბირო ხმით იტალიის სოციალისტური პარტიისაგან (მაფი, სერატი და სხვები) და ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ოპოზიციონური ჯგუფი, რომელიც გამორიცხული იყო პარტიიდან და რომელთა საბოლოო საკითხი გადასწყდება მეოთხე კონგრესზედ.

**მოსკოვი 13 ნოემბერი.** კომინტერნის კონგრესის 10 ნოემბრის სხდომაზე ამხ. ზინოვიევი განაგრძობს მოხსენებას: „კომინტერნის ტაქტიკის“ შესახებ: მე-3-ე კონგრესის თეზისები გამართლდა პრაქტიკაში მიუხედავად იმისა, რომ სხვა და სხვა ქვეყნებში სამეურნეო ცხოვრება მცირეოდნად გაუმჯობესდა, კაპიტალიზმი განიცდის დაცემის და კრიზისის პერიოდს. საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა წინააღმდეგობით მწვავდება. ანტანტა იშლება, ვერსალის ზავი გაბათილდა, ბურჟუაზიული პაციფიზმი გაკოტრდა. კაპიტალისტურ ქვეყნებში ბრძოლა მწვავდება. ბურჟუაზიული დემოკრატია იშლება, რეაქცია იმარჯვებს. ფაშიზმი საერთაშორისო მოვლენად ხდება, მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ პროლეტარიატი წინააღმდეგობას არ გაუწევს ამას ვერც საბჭოთა რუსეთი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ ძლიერდება. ახა[illegible] პოლიტიკა არ არის კომუნიზმის პრინციპი და ან უკანდახევა. იგი არის აუცილებელი პირობა მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილ ქვეყნის რევოლიუციისა. მუშათა მოძრაობაში საჭიროა აღინიშნოს 2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალების გაერთიანება, რომელიც მოასწავებს კომუნისტების წინააღმდეგ თეთრი ტერორის მზადებას. საჭიროა ამას დაუპირდაპიროთ ერთიანი ფრონტი, რომელიც სრულიადაც არ ნიშნავს სოციალ-დემოკრატებთან ორგანიულ შედუღებას. ერთიანი ფრონტის სწორი ფორმულა შემდეგია: „ყოველდღიურ მუშაობაში მუშათა მტრების წინ ყოფნა... ერთიანი ფრონტის ტაქტიკის კონკრეტიული გამოყენება—მუშათა მთავრობის შექმნა. ეს უკანასკნელი ვერ გასწევს პროლეტარიატის დიქტატურის მაგიერობას, მაგრამ არის აუცილებელი გარდამავალი ხანა.

— კომინტერნის კონგრესის მეოთხე სხდომაზე გერმანიის დელეგატი ბეკკერი აღნიშნავს, რომ გერმანიის კომპარტიამ სწორი პოზიცია დაიკავა ერთიანი ფრონტის საკითხში.

— რადეკი მუშათა მთავრობის საკითხის შესახებ ამბობს: „თუ მუშათა მთავრობა გადაიქცევა უმოქმედო, წყნარ ნავთსადგურად, მას სამარცხვინო აღსასრული მოელის.

ეხება რა გერმანიის კომპარტიის ტაქტიკას, რადეკი ამბობს: „გერმანიის კომპარტიის ოპოზიციონური ნაწილი შიშობდა, რომ სოციალ-დემოკრატებთან მოლაპარაკება არის ტყუილ-უბრალოდ დროის დაკარგვა. თუ რომ ეს მოლაპარაკება განხეთქილებით არ დამთავრდა. ეს შიში არის მაჩვენებელი სისუსტის. შედე-

გი უფრო სწორი იქნება, ვაკრიტიკოთ, ვაწარმოვოთ მოლაპარაკება და კავშირი გავსწყვიტოთ სოციალ-დემოკრატებთან მხოლოდ მაშინ, როდესაც არის შესაძლებლობა კამპანიის დამოუკიდებლად ჩატარებისათვის.

იტალიის კომპარტიის დელეგატმა ბორდიგამ განაცხადა, რომ იტალიის კომუნისტები არ არიან გატაცებულნი ილიუზიებით, ვითომდა პატარა სექციას შეეძლოს სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდება. საჭიროა მუშათა კლასის დაპყრობა, იდეოლოგიის სიწმინდის და ორგანიზაციულ სიმტკიცის შენარჩუნება.

ბორდიგა მხარს უჭერს ერთიანი ფრონტის ტაქტიკას, მაგრამ ფიქრობს, რომ კომპარტიამ არ უნდა დაიკისროს მთელი პასუხისმგებლობა იმ კამპანიაში, რომელიც ჩატარებული იქნება ოპორტიუნისტებთან ერთად.

— კომინტერნის აღმასკომმა მიიღო ახლად დაარსებულ ვლადივოსტოკის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს მიმართვა მთელი ქვეყნის პროლეტარებისადმი მიმართვაში ნათქვამია: „იაპონიის ინტერვენციის და თეთრგვარდიელების ველური თარეშის ოთხი საშინელი წლის შემდეგ განთავისუფლებულ ვლადივოსტოკში შეიკრიბა მუშათა დეპუტატების საბჭო. „პრიმორიეს“ პროლეტარიატი ზეიმით შეხვდა თავის განმანთავისუფლებელთ.

ინტერვენტების გამოსვლის შემდეგ საჭირო აღარ არის შორეულ აღმოსავლეთის საბუფერო სახელმწიფოს არსებობა, რომელიც თავიდან გვაშორებდა მებრძოლ იმპერიალიზმთან შეტაკებას ვლადივოსტოკის მშრომელთა ინიციატივით 5 ნოემბერს არჩეული იქნა დეპუტატების საბჭო გუბერნიის გლეხობა და წითელი არმია შეუერთდა ამ დიად საქმეს და გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები. ეს არის მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის გამარჯვება. ვინაიდან „პრიმორიე“ ამ ჟამად წარმოადგენს საბჭოთა რუსეთის, სოციალურ რევოლიუციის კერის განუყოფელ ნაწილს.

ვლადივოსტოკის პროლეტარიატს არ შეუძლია დამშვიდდეს მანამ, სანამ ვლადივოსტოკში იდგომებიან უცხოელების სამხედრო გემები. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენ მოსთხოვთ თქვენ მთავრობებს: „ხელი არ ახლოთ საბჭოთა რუსეთსო“.

— კომინტერნის აღმასკომმა მიიღო ალექსანდრიიდან ეგვიპტეს სოციალურ პარტიის ცეკას მისალმება. ცეკა იტყობინება, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 5 წლის აღსანიშნავად ალექსანდრიაში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზედაც მუშებმა განაცხადეს თავისი სრული ერთგულება კომინტერნისადმი.

# უცხოეთი

**საფრანგეთი და ოსმალეთი**

მოსკოვი. 13 ნოემბ. „ლიბრ-პაროლის“ თანამშრომელთან საუბრის დროს პუანკარემ განაცხადა: საფრანგეთს სურვილი აქვს დაამტკიცოს სტამბოლში, რომ მოკავშირეებმა მტკიცედ გადასწყვიტეს დაიცვან თავიანთი უფლებები ოსმალეთში.

**პუანკარეს განცხადება**

მოსკოვი. 13 ნოემბ. სენატში წარმოთქმულ სიტყვაში პუანკარემ განაცხადა: „ჩვენ ვეყრდნობით ინგლისის მეგობრობას და ინგლისსაც შეუძლია ჩვენი მეგობრობის იმედი იქონიოს.

— ბრიუსელის ფინანსიურ კონფერენციის შესახებ პუანკარემ სთქვა: „საფრანგეთი არ არის განწყობილი იმპერიალისტურად და მილიტარისტულად და არ სურს გერმანიის განადგურება, მხოლოდ მოითხოვს მოკავშირეებისაგან მისი სამართლიანი პრეტენზიების აღიარებას.

**მუსოლინისათვის მხარის დაჭერა**

მოსკოვი. 13 ნოემბ. იტალიის სოციალისტურ-რეფორმისტულ ფრაქციამ დაადგინა მხარი დაუჭიროს მუსოლინს.

**მუსოლინი ლოზანის კონფერენციის შესახებ**

მოსკოვი. 13 ნოემბ. მუსოლინმა განაცხადა, რომ იგი სავსებით იზიარებს პუანკარეს თვალსაზრისს ლოზანის კონფერენციის დაჩქარებით მოწვევის შესახებ და ოსმალეთის მიმართ გაერთიანებულ ფრონტის მოწყობის შესახებ. ამასთან ერთად უნდა დავარწმუნოთ ოსმალები იმაში, რომ მოკავშირეებს გულწრფელად სურთ ზავის ჩამოგდება.

**ფაშისტების დემონსტრაციები**

მოსკოვი, 13 ნოემბერი. ბავარიაში გაიმართა ფაშისტების დემონსტრაციები.

**სარეპარაციო კომისიაში**

მოსკოვი. 13 ნოემბერი. სარეპარაციო კომისიამ დასტოვა ბერლინი. უცხოეთის ექსპერტებმა ის დასკვნა გამოიტანეს, რომ საჭიროა მარკის კურსის სტაბილიზაცია. სტაბილიზაცია შეუძლებელი იქნება, თუ კი გერმანია, დროებით მაინც, არ იქნება განთავისუფლებული საკონტრიბუციო გადასახადისაგან. ექსპერტებმა გამოსთქვეს აზრი, რომ საჭიროა გერმანიას ორი წლით მიეცეს მორატორიუმი.

— რეიხს-კანცლერმა საუბრის დროს განაცხადა, რომ სარეპერაციო პრობლემაში გაირჩევა სამი ხანა: პირველი გადასახადების ნაღდათ გასტუმრების პერიოდი—დამთავრდა; მეორე—გადასახადების ნატურით გასტუმრების პერიოდი ახლაც გრძელდება. ორი სამი თვის შემდეგ დაიწყება ახალი მესამე პერიოდი, როდესაც გერმანიას დასჭირდება უცხოეთის სესხი, სურსათის შესყიდვა და სიმშილობისაგან გადარჩენა.

**არეულობა აღმოსავლეთ გალიციაში.**

ჰანოვერი, 10 ნოემბერი. ლემბერგიდან მიღებული ცნობის თანახმად, აღმოსავლეთ გალიციაში მომხდარ არეულობის დროს ხელში ჩაიგდეს ასაფეთქებელი ნივთიერება და ყუმბარები.

**არეულობა ლისაბონში.**

ბორდო, 10 ნოემბერი. პარიზში მყოფ პორტუგალიის მისიის ცნობით, 6—7 ნოემბერს ღამით ლისაბონში იფეთქა არეულობამ, რომელიც ჩაქრობილ იქნა მთავრობის მიერ.

**რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ.**

მოსკოვი. 11 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლისთვის დღესასწაულობის გამო, რიგაში დაპატიმრებულია ბევრი მოქალაქე დაჭერილთა შორის არიან კომუნისტური წითელი ჯგუფის წევრები.

ლატვიის კომპარტიის ცეკამ მოწოდებით მიმართა მშრომელთ პროტესტი განაცხადოს უმუშევრობის წინააღმდეგ, შექმნას მთლიანი პროლეტარული ფრონტი და მოითხოვოს მთავრობისაგან, რათა უკანასკნელმა კეთილმეზობლური განწყობილება შექმნას რუსეთთან.

**შვეციის ესდეკები.**

მოსკოვი. 11 ნოემბერი. შვეციაში მოხდა წინასწარი გაერთიანება მემარცხენე და მემარჯვენე ესდეკების. მემარჯვენე ფრაქცია არავითარ დათმობაზე არ წასულა და მემარცხენეთ მიანიჭეს მხოლოდ თავისუფალი კრიტიკის უფლება.

**სარეპარაციო კომისიაში.**

მოსკოვი. 11 ნოემბერი. გავრცელებულ ხმების მიხედვით, სარეპარაციო კომისიაში გერმანიამ მიაღწია შეთანხმებას.

**გერმანიის კაბინეტის კრიზისის შესაძლებლობა.**

მოსკოვი. 11 ნოემბერი. „მატენი“ იუწყება, რომ შესაძლებელია მოხდეს გერმანიის კაბინეტის კრიზისი, სარეპარაციო კომისიისადმი დამოკიდებულების საკითხში აზრთა სხვა და სხვაობის გამო.

**რვა საათის სამუშაო დღე.**

მოსკოვი. 11 ნოემბერი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ მოიწონა მთავრობის დადგენილება საზღვაო ფლოტში რვა საათის სამუშაო დღის გატარების შესახებ.

**გაფიცვები ჩინეთში.**

მოსკოვი. 11 ნოემბერი. 37.000 ხაილანის მაღაროების მუშები განაგრძობენ გაფიცვას. პოლიცია, და ჯარს არ სურთ იმოქმედონ მუშების წინააღმდეგ.

# რუსეთი

**ჩინეთი და რუსეთი.**

მოსკოვი. 13 ნოემბ. რევოლიუციის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობამ პეკინში გამართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ სენატის და პალატის თავმჯდომარენი, პეკინის უნივერსიტეტის რექტორი, მუშათა ორგანიზაციების და კომუნისტური პარტიის წარმომადგენელნი. იოფფეს სახელით, რომელიც ავადმყოფობის გამო ბანკეტზე არ იმყოფებოდა, წაკითხულ იქნა მისალმება, სადაც აღნიშნული იყო, რომ ახალმა რუსეთმა სავსებით უარყო მეფის აგრესიული პოლიტიკა და სურს მხოლოდ, რომ ჩინეთის გზის საკითხში მხედველობაში იქნას მიღებული რუსეთის კანონიერი ინტერესები.

**რუსეთი და პოლონეთი**

მოსკოვი. 13 ნოემბ. ჩიჩერინისადმი მიმერთულ ნოტაში პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელმა პოლონეთში—ობოლენსკიმ თავის მოვალეობათა ასრულების დაწყებისთანავე, შეეხო ფორმალურ ხასიათის ისეთ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა თვითონ სურდა დაეწყო. ობოლენსკიმ, მიიღო რა ამ ფორმალობათა დაუყოვნებლივ გადაწყვეტაზე უარი, განაცხადა, რომ იგი სტოვებს ვარშავას. პოლონეთის მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს ამ ინციდენტის გამო და იმედოვნებს, რომ ეს საკითხი სულ მოკლე ხანში გამოირკვევა.

**სპარსეთის ელჩის მისალმება**

მოსკოვი. 13 ნოემბ, სპარსეთის ელჩმა ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის გამო, გარეშე საქმეთა კომისარიატს მიმართა მილოცვით და უსურვა რუსეთის ხალხს ბედნიერება და კეთილი ცხოვრება. ჩიჩერინი თავის პასუხში უძღვნის სალამს სპარსეთის მთავრობას და აღნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლიუციიდან რუსეთ-სპარსეთის შორის იწყება ახალი დამოკიდებულება, რომელიც ხელსაყრელი იქნება ორივე ერისათვის.

**ახალგაზრდობის კომინტერნის კონგრესი.**

მოსკოვი. 13 ნოემბ. 20 ნოემბერს გაიხსნება ახალგაზრდობის კომინტერნის მეოთხე კონგრესი.

# ახალი ამბები

— **ბრძოლა ვენერიულ ავადმყოფობასთან.** ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოსთან ნოემბრის 8-ს მოხდა საზეიმო გახსნა კანისა და ვენერიულ განყოფილებისა, რომლის მიზანია მიაწოდოს მცხოვრებლებს სპეციალური საექიმო დახმარება და აგრეთვე ვენერიულ ავადმყოფობასთან საბრძოლველ ზომების განსამარტებლად და თანამედროვე პირობებში ცხოვრებაში გა-

# სადღეისო საკითხები

**ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხის გარშემო.**

კამათმა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო; ის იმდენად დამახინჯდა ყალბი და დაფუძნებელი არგუმენტაციებით, რომ მისი სამწუხარო შედეგები ყველას თვალწინ უდგას. გაზეთ „კომუნისტის“ წერილებს ჩვენს წინააღმდეგ, რომლის ავტორი ჩვენ „მემკვიდრეობით ნაციონალისტებს“ და შოვინისტებს გვეძახის, მოყვა „ზარია ვოსტოკას“ და შემდეგ „პრავდა გრუზიას“ გამოლაშქრება. ამ გაზეთებმა ბრალდების ფარგლები უფრო გააფართოვეს და კონტრ-რევოლიუციონერების ბანაკში ამოგვაყოფინეს თავი. მენშევიკები, ნაციონალ-დემოკრატები, მემარჯვენე ფედერალისტები და ჩვენ ერთი პოლიტიკური კატეგორიის ქვეშ არის მოქცეული და ერთი სახელწოდებით ინათლება ამ ორგანოებისაგან. ჩვენც აღნიშნულ მემარჯვენე პარტიებთან ერთად კონტრ-რევოლიუციონერები ვართ. ნაცვლად საღი და ლოგიკური არგუმენტაციისა, რომ დაამტკიცონ ჩვენ მიერ წამოყენებული დებულებები, აწყიან და კონტრ-რევოლიუციონერების ბანაკში გვიკრეს თავი. ყოველიფერს თავისი საზღვარი აქვს; საზღვარი და თავისი ფარგლები უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ პარტიათა შორის კამათსაც. საკითხი ისე არ უნდა დაისვას, რომ მკითხველი საზოგადოება და მშრომელი მასები დაიბნეს და ვერ გაიგოს პოლიტიკურად სად არის „მარჯვენა“ და სად „მარცხენა“. არც ისეთი არგუმენტაცია ვარგა, რომლის სისწორეში ვერავის დაარწმუნებთ. აბა რომელი ჭკუათ მყოფელი დაიჯერებს დღეს საქართველოში, რომ ჩვენ კონტრ-რევოლიუციონერები ვიყავით! მალე ორი წელი შესრულდება, რაც მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და ამ ხნის განმავლობაში ის ენერგიულად იცავდა საბჭოთა სისტემასა და ხელისუფლებას. პოლიტიკური პლატფორმის მიხედვით რა საერთო გვაქვს ჩვენ მენშევიკებთან და სხვა მემარჯვენე პარტიებთან? — არაფერი. ჩვენ ვდგავართ საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის ნიადაგზედ, ისინი კი საერთაშორისო კაპიტალიზმის რესტავრაციაზედ ოცნებობენ. ჩვენ ვიცავთ მშრომელთა დიქტატურას და კლასთა ბრძოლის პრინციპს; ისინი—ბურჟუაზიასთან მორიგების პოლიტიკას აყენებენ და ფაქტიურად ბურჟუაზიის დიქტატურას იცავენ; ჩვენ ვდგევართ საბჭოთა სისტემის ნიადაგზედ და მის ფორმებში ვაყალიბებთ მშრომელთა დიქტატურის საქმეს, ისინი პარლამენტარიზმის მხურვალე დამცველები არიან და ხელს უწყობენ ბურჟუაზიის პოლიტიკურსა და ეკონომიურს გაძლიერებას. როგორაც ვხედავთ, მთელს რიგს პირველ ხარისხოვან კითხვებში ჩვენსა და მემარჯვენეებს შორის დიამეტრალური წინააღმდეგობაა და ჩვენი სამოქმედო პლატფორმები ძირითად განსხვავდება ერთიმეორისაგან. ამის შემდეგ აშკარა სიყალბე არ არის ზემოდ აღნიშნულ გაზეთების მიერ გადმოსროლილი ბრალდება ჩვენი კონტრ-რევოლიუციონერობის შესახებ?

მაგრამ განსხვავება ჩვენსა და მემარჯვენეებს შორის მარტო ზემოდ ჩამოთვლილ კითხვებში კი არ არის; ჩვენ არსებითად განსხვავდებით მემარჯვენეების პოლიტიკისაგან იმ კითხვებშიაც, რომლის გარშემო დღეს ასე ცხარე კამათი არის გამართული. ჩვენ ვაყენებთ მთელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის პროგრამას და მათი არსებობის გამტკიცება გვსურს; მემარჯვენეები ასეთი კავშირის არსებითი წინააღმდეგნი არიან და ყოველ-გვარი ძალ-ღონით სცდილობენ დაეცეს საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენი პროგრამა არის საღი, მიზანშეწონილი და ერთად ერთი სწორი საშუალება საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მტკიცე კავშირის შესაქმნელად და რევოლიუციის განვითარებისათვის შეურყეველი საფუძვლების ჩასაყრელად. ჩვენსა და მემარჯვენეებს შორის რადიკალური სხვა და სხვაობაა და ვინც ამას ვერ ხედავს—ბეცია, ან ძალით იბეცებს თავს. ორივე შემთხვევაში მისი მსჯელობა მზგავსი ყალბ ნიადაგზედ არის აღმოცენებული და ვერ გამოდგება ჩვენიდებულებების გასაბათილებლად.

როგორც ვხედავთ დიდი მსჯელობით ძნელი არის ფონს გასვლა. საჭიროა უფრო მეტად დადებითი არგუმენტაციის წამოყენება დამშვიდებულ მსჯელობა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ერთს ასეთ დასაცავ არგუმენტაციად წამოყენებულია ის, რომ ეს ფედერაცია ფაქტის საქმე არის და მისი მოშლა შეუძლებელია. საკითხის ამ გვარად დაყენება ვერ არის სწორი. ასეთს ფაქტებს ჩვენ იმდენად უნდა ვუწიოთ ანგარიში, რამდენადაც იმისი არსებობა მიზანშეწონილი და სასარგებლოა ჩვენი ძირითადი პროგრამის საზომით. საბჭოთა მშენებლობის პროცესში მთელი რიგი დარგებისა და პოლიტიკური სხეულებისა შეიქმნა, რომელთა გადახალისება და რადიკალურად გარდაქმნა აუცილებელი ხდება ამავე საბჭოთა მშენებლობის შემდეგი წარმატებისათვის. ჩვენ რომ ასეთს შემთხვევაში ფაქტების არსებობა მივიღოთ მხედველობაში და შევუდგეთ მათ დაცვას, ამით ჩვენ მეტად დიდს შემაფერხებელ ზღუდეებს შევქმნით ჩვენი მუშაობის პროცესში.

კითხვა იბადება, როგორი ფუნქციები უნდა ასრულოს, როგორი მოვალეობანი უნდა დაიკისროს ამიერ კავკასიის ფედერაციამ საერთო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში? როგორაც ვიცით „თეზისების“ მიხედვით ამ კავშირში უნდა შევიდეს რ. ს. ფ. ს. რ. (საბჭოთა რუსეთის ფედერაცია), უკრაინა, ბელორუსეთი და ამიერ-კავკასიის ფედერაცია. ამ პროექტის მიხედვით საბჭოთა ფედერაცია ეცოდინება და საქმე ექნება მხოლოდ ამიერ-კავკასიის ფედერაციასთან, როგორც ერთ თანასწორთან. მისთვის უცნობი იქნება საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი. ამ რესპუბლიკებმა დამოკიდებულება უნდა იქონიონ მხოლოდ ამიერ-კავკასიის ფედერაციასთან და მისი საშუალებით როგორც მთლიანი პოლიტიკური ერთეული შევიდეს კავშირში.

მაგრამ, როგორც ჩვენ გვეთვალისწინებით უფლებებისა და მოვალეობის განაწილების საქმეს, გამოვარკვევთ კომპეტენციებს კავშირისა და ცალკე ერთეულების, ჩვენთვის ნათელი გახდება ის როლი, რომელიც უნდა შეასრულოს ამიერ-კავკასიის ფედერაციამ.

„თეზისების“ მიხედვით სამგვარი სახით ხდება კომპეტენციების განაწილება კავშირის და მის შემადგენელ ერთეულებს შორის.

პირველ კატეგორიას შეადგენს ის დარგები დაწესებულებების, რომელნიც უშუალოდ გადადიან კავშირის გამგებლობაში. ესენია: საგარეო საქმეთა, საგარეო ვაჭრობის, სამხედრო და საზღვაო, გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატები, რომელნიც გამოეყოფა ცალკე ერთეულებს და შეუერთდება რესპუბლიკების კავშირის სათანადო კომისარიატებს იმ პირობით, რომ კავშირის კომისარიატებს ჰყავდეთ რესპუბლიკებსა და ფედერაციაში თავისი რწმუნებულები მცირე აპარატით. ამ პროექტის მიხედვით ზემოდ აღნიშნული დარგების ხელმძღვანელი ბოლომდე არის კავშირში: ის იმუშავებს კანონებს, უშვებს დადგენილებებს და დირექტივებს და თავისი აპარატითვე მოყავს სისრულეში, ატარებს ცხოვრებაში. საერთო დადგენილებების ცხოვრებაში გატარება ევალებათ კავკასიის რწმუნებულებს ცალკე ერთეულებში. ასეთი რწმუნებული ეყოლება კავშირს მხოლოდ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში, ისე როგორც უკრაინასა, ბელორუსეთსა და რუსეთში. მაგრამ ამ რწმუნებულმა, რომელმაც უნდა გაატაროს ამიერ-კავკასიაში საერთო დადგენილების საქმეები, ამიერ-კავკასია ხომ სამი ცალკე ერთეულისაგან შესდგება? კიდევ თავისი რწმუნებული დანიშნოს ცალკე რესპუბლიკებში, ეს ხომ იერარქიული გოდოლი გამოვა.

ავიღოთ უფრო კონკრეტიული მაგალითი, წითელი არმიის მოწესრიგების საქმე. კავშირი ხელმძღვანელობს და აძლევს კანონებს და ინსტრუქციებს წითელ ლაშქრის მოწყობის შესახებ და თავისივე რწმუნებულების აპარატით ატარებს ამ დადგენილებებს ცხოვრებაში. მან უნდა დანიშნოს ერთი სამხედრო რწმუნებული თავისი აპარატით ამიერ-კავკასიის ფედერაციაში. ამიერ-კავკასიის ფედერაცია, თანახმად იმ დებულების, რომელიც მიღებულია მისი კონსტრუქციისათვის, სამხედრო ორგანიზაციის მხრით შესდგება სამი ერთეულისაგან. ამხ. მამია ორახელაშვილის გამოთქმით „ფედერაციაში ისევ იარსებებს, სომხეთის, აზერბეიჯანისა და საქართველოს ჯარი, მხოლოდ მათი ხელმძღვანელი ორგანო იქნება ერთი“. ასეთს შემთხვევაში კავშირის რწმუნებული ტეხნიკურად მეტად გართულებულ პირობებში სდგება. მისი ადმინისტრატიულ ტეხნიკური აპარატი მეტად რთულდება და მუშაობაც უფართოვდება. ის იძულებული გახდება ან მცირე რწმუნებულებით ხერხს მიჰმართოს თავისი მხრით და დანიშნოს ისინი რესპუბლიკებში, ან გააერთიანოს ორგანიზაციულად ჯარი. არც ერთი ეს საშუალება მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება. ადმინისტრატიულ ორგანიზაციული თვალსაზრისით არც იერარქია რწმუნებულებისა და არც ჯარის გაერთიანება ყოველგვარი ინდივიდუალობის მოსპობით არ ჩაითვლება მიზანშეწონილად.

*) იხ. „ტრიბუნა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტარებლად. განზრახულია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საგანმანათლებლო მუშაობას სათანადო წიგნების გამოცემით და ლექციების კითხვით მცხოვრებთათვის, ვენერიულ ავადმყოფობათა ხასიათის სწორი ცნობების გასავრცელებლად და მოსალოდნელ უბედურების თავიდან ასაცილებლად. მომავლისათვის განზრახულია ქორწინების მსურველ პირთა გასინჯვა—შემოწმება. ამ განყოფილების ოთხ ოთახში—მუშაობს სამი ექიმი.

მცირე ზეიმი გახსნა ვენერიულ ავადმყოფობასთან საბრძოლველ ორგანიზაციის ინიციატორმა, ტფილისის ალმასკომის-ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ ექიმმა გ. ს. ვაწაძემ, რის შემდეგ განყოფილების გამგე ექიმმა გულაძემ გააკეთა მოხსენება განყოფილების მომავალ მუშაობის გეგმასა და მიზანზე, ხოლო ორდინატორებმა ს. მ. მონინმა და ი. დ. თოფურიძემ გააკეთეს მოხსენებანი — პირველმა ვენერიულ ავადმყოფობათა გავრცელებაზე და მეორემ თანამედროვე პროსტიტუციის მდგომარეობაზე. შემდეგ გაიმართა მისალმებანი სხვა და სხვა კომისარიატებისა, ორგანიზაციებისაგან და დაწესებულებებიდან. ყველა დამსწრეთ გაუმასპინძლდნენ ჩაითა და ხილით. გახსნას, რომელსაც წმინდა საოჯახო ხასიათი ჰქონდა, დამთავრდა ექიმ გულაძის მიმართვით სტუმრებზე—დაწყებული საქმის ხელის შესაწყობად და დასახმარებლად.

— **ეპიდემიური ავადმყოფობანი ოქტომბრის თვეში.** პირველ ოქტომბრისათვის ქალაქის საავადმყოფოებში იყო სნეული. პარტახტიანი სახადით—5, მუცლის სახადით—10, შემაბრუნებელით—12, ყვავილით—2, მუცელათი—6, ყელ-ჭირებით (დიფტერიტი)—6, ხოლერით—8 და კისერათი—2. თვის განმავლობაში დაწვა საავადმყოფოში სნეული: პარტახტიანი სახადით—6, მუცლის—14, შემაბრუნებელი—11, ყვავილით—7, დიფტერიტით—5, [მუ]ცელათი—9 და ყელ-ჭირებით— [...] გამოეწერა აქედან ავადმყოფი: [პა]რტახტ. სახადით—8, მუცლის—1[...], შემაბრუნებელი—15, ყვავი[ლ]ით—4, დიფტერიტით—7, მუცელათი—8, ხოლერით—7 და კისერათი—1 და მოკვდა მუცლის სახადით—2, შემაბრუნებელით—1 და მუცელათი—5. პირველ ნოემბრისათვის იმყოფება სნეული: პარტახტიანი სახადით—3, მუცლის—9, შემაბრუნებელი—7, ყვავილით—6, დიფტერიტით—4, მუცელათი—4, ხოლერით—1 და კისერათი—6

— **ტყის მოშენების კვირაობა.** კვირას, ნოემბრის 12, ტფილისის ალმასკომის მიერ ეწყობა „კვირაობა“ მამადავითის მთის სამხრეთ-დასავლეთის ფერდობის ტყის მოშენების მოსამზადებელ მუშაობის საწარმოებლად. (მოსკოვისა და ბელინსკის ქუჩის მხრით), გაყვანილი იქნება გორიზონტალური თხრილები—მოვარდნილ წყლის შესაჩერებლად. კვირაობა ნავარაუდევია მოეწყოს 1000 კაც. მუშა-ხელით, რომელთაც უხელმძღვანელებენ ქალაქის გამოცდილი ინჟინერ-ტეხნიკოსები.

## პროვინციის ცხოვრება

**სამტრედიის რაიონი.** ამ სამოსწავლო წელს ქვემო იმერეთში 4—5 ტეხნიკუმი დაიკეტა. მათი მოწაფეები მოაწყდა უმთავრესად სამტრედიის ტეხნიკუმს და ქუთაისს, მეტი კი უადგილობის გამო სასწავლებლის გარეშე დარჩა.

— პროვინციის სასწავლებლებში მოვის დისციპლინა ნელ-ნელა იკიდებს ფეხს.

— სამტრედიის რაიონის სახალხო განათლების ინსტრუქტორმა მიწერილობები დაუგზავნა ხსენებულ რაიონის სასწავლებლებს სექტემბრის და ოქტომბრის ჟამაგირების მისაღებად ცხრილის წარმოდგენის შესახებ.

**სახელმძღვანელო წიგნების ნაკლებობა.** პროვინციის ბაზარზე სახელმძღვანელო წიგნების არაჩვეულებრივი სიმცირეა. განსაკუთრებით არ იშოვება რუსული ენის და ევროპიულ ენების შესასწავლი თუ ისე საკითხი წიგნები, რაც სხვათა შორის დიდად უშლის ხელს სკოლებში ნორმალ მეცადინეობას.

— სალიტერატურო წრეების დაარსებას დიდის ხალისით, დაინტერესებით შეხვდენ მოწაფენი.

— ამ ახლო მომავალში ქ. სამტრედიაში ადგილობრივ ტეხნიკუმის მიერ გაიმართება ე. ნინოშვილის საღამო, რომლის შემოსავალი გადაიდება ამავე ტეხნიკუმის სამკითხველოს შესავსებად.

## სამხატვრო ქრონიკა

**გაზ. „ბახტრიონის“ მკითხველთა საყურადღებოდ.** გაზ. „ბახტრიონის“ რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 12 ნოემბრიდან გაზეთი „ბახტრიონის“ ყოველი № როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში ეღირება 5.000 მ. (ნაცვლად ათი ათასი მანეთისა). მეგაზეთეები, რომელნიც გაზეთს ზედმეტ ფასებში გაჰყიდიან, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

**გაზ. „ბახტრიონი“** გამოვიდა გაზ. „ბახტრიონის“ მორიგი № 19 მოთავსებულია ლექსები: შალვა აფხაიძის, ლევან ასათიანის, ს. ერთაწმინდელის. წერილები: პაოლო იაშვილის, ვარამ გაგელის, არტურ ლეისტის, ილია ჭავჭავაძის წერილები; ქრონიკა, წერილი პარიზიდამ, საზღვარ გარედ და სხ. ფასი ყველგან 5.000 მ.

**რუსთაველის თეატრი.** ხუთშაბათს, ნოემბრის 16 ევროპაში მიმავალ სტუდენტთა ერთი ჯგუფის სასარგებლოდ გაიმართება დიდი საღამო.

I სიტყვა პროფ. დ. უზნაძის. II. კომედია. 1 მოქ. „სიმართლე“ მონაწილეობენ: ქ-ნ. გოცირიძე, უშ. ჩხეიძე, ნ. ჯავახიშვილი, ან. თოხაძე. რეჟისორი მ. ქორელი.

III მუსიკალურ ლიტერატურული განყოფილება. **პოეტები:** ი. გრიშაშვილი. ხ. ვარდოშვილი, პ. იაშვილი, კ. მაყაშვილი, გ. ტაბიძე, ს. ფაშალიშვილი.

**მომღერალნი:** ალ. დოლიძე, ა. ინაშვილი, ი. სარაჯიშვილი, ს. სკლიროვა, თ. ლისიციანი, ა. ჭუმბურიძე.

**მუსიკა:** რ. გარბუზოვა, კ. ფოცხვერაშვილი (აკადემიური თეატრის ხორო და საკონცერტო ოპერა).

IV. თაგუნა. „ვასო აბაშიძის კბილები“. ვასო აბაშიძე და ნიკო გოცირიძე იმღერებენ „ვაი ვუის“ ხმაზე. ალ. იმედაშვილი წაიკითხავს შექსპირიდან. აკ. ვასაძე წაიკითხავს ლექსს. ყოფილი მსახიობი მოსკოვის საკამერო თეატრის ი. განჟუმოვა—მელოდეკლამაცია. დასასრულ ბალეტი. რუსეთის თეატრების ძალები ა. ვოლგინა და ა. სოკოლსკი შეასრულებენ ცეკვებს. როიალთან—ვასილიევა ანდრონიკაშვილისა. დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

**სახელმწიფო ოპერა.** დღეს, სამშაბათს 13 ნოემბერს, პირველად განახლების შემდეგ „ალი“. მონაწილეობს სვანიძე-კორონა, სტრიჟენოვა, მაზოვეცკაია, ლევიცკი, საბინინი და სხ. დასდგამს ბოგოლიუბოვი, დირიჟორი ვანო ფალიაშვილი.

**ა. დოლიძის კონცერტი.** დღეს, რუსთაველის თეატრში, გამართება ცნობილ მომღერლის ა. დოლიძის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ ცნობილი მომღერლები.

**მ. ჭიაურელის საღამო მოსკოვში** როგორც მოსკოვიდან გვატყობინებენ გერმანიაში მიმავალ მ. ჭიაურელს და ვ. ანჯაფარიძეს მოსკოვში გაუმართავთ ქართული საღამო, წარმოადგინეს შიუკაშვილის პიესა „სულელი“.

## პარტიული ცხოვრება

**სენაკის სამაზრო თათბირი.**

სენაკის მაზრის მაშტაბით პარტიულ მუშაობის წარმოებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა: სენაკის მაზრა საერთოდ კულტურული და ერთგვარი პოლიტიკური ცენტრია მთელი სამეგრელოსი. ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული მენშევიკებს და ამიტომაც იყო, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ფესვები ყველაზე უფრო მომაგრებული სენაკის მაზრაში ჰქონდა. მენშევიკური დიქტატურა არ აძლევდა დანარჩენ პარტიებს არსებობისა და განვითარების საშუალებას. სხვას რომ თავი დავანებოთ, სოც.-ფედ. პარტია ძველად უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდა სენაკის მაზრაში. მართალია, ამის მიზეზი მენშევიკების ინკვიზიტორულ და იეზუიტურ სულისკვეთებაში უნდა ვეძიოთ, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ კაბინეტურ შემოქმედებას ჩვეული პარტიის პასუხისმგებელი პირები იჩენდნენ დიდს გულგრილობას პარტიულ მუშაობის სფეროში. სენაკის სამაზრო ძველი კომიტეტი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. მისი „საქმიანობა“ და „მუშაობა“ პარტბიუროს კარებს არ გასცილებია არასდროს.

მიმდინარე წლის აგვისტოდან სენაკსა და მის მაზრაში დაარსდა რამოდენიმე ორგანიზაცია. განზრახულია კიდევ რამოდენიმე პარტორგანიზაციის დაარსება. ეს კი სულ ახლო მომავლის საქმეა, რადგან არსებობს მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობები და ჩვენს განკარგულებაშიც არიან მხნე და ენერგიული, ეილბუერ ქახებიდან გამოსული ამხანაგები. ამიტომ, სრულიად ბუნებრივად, პარტმუშაობის პრაქტიკამ წამოაყენა სენაკის სამაზრო პარტკომის დაარსების აუცილებელი საჭიროება.

სამაზრკომის დაარსების აზრი იმდენად მომწიფდა პარტორგანიზაციებში, რომ ეს უკანასკნელნი დიდის სიამოვნებით შეხვდნენ ისულის პარტკომის წინადადებას სენაკში სამაზრო პარტიულ თათბირის მოწყობის შესახებ.

ოთხშაბათს, ოქტ. 18-ს, დილის 12 საათზე, სენაკში გაიმართა ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება. კრებას დაესწრო 5 ორგანიზაციის თავმჯდომარეები და პასუხისმგებელი მდივნები. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ამხ. მურზაყან გეგენავა, მდივნად—ამხ. ანტონ ნადარეიშვილი. დამტკიცებული იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) ჩვენი გზა—მოხსენება; 2) მოხსენებანი ადგილებიდან; 3) მუშაობა მაზრის მაშტაბით და 4) დრ. სამზკომის არჩევნები. პირველ საკითხზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. გ. მუშიშვილი. ამხანაგმა გაღუშალა კრებას ჩვენი პარტიის დაარსების ისტორია და პარტიაში მომხდარი ცვლილებები, აგრეთვე პარტიის პროგრამის თეორიულ-ფილოსოფიური სოციალ-ეკონომიური საფუძვლები, ილაპარაკა სეპარაციასა და ფედერაციაზე, აგრარულ საკითხზე, ოქტომბრის რევოლუციაზე, მენშევიკების და ბოლშევიკებთან დამოკიდებულებაზე, 25 თებერვალზე, შეეხო პარლამენტარიზმსა და საბჭოთა სისტემას, მშრომელთა კლასის დიქტატურას, ახალი ეკონომიური პოლიტიკას, საერთაშორისო მდგომარეობას, დაუხატა კრებას მემარჯვენე პარტიების ფიზიონომია და მათი ტრაგედია არა მარტო საბჭოთა ფედერაციის, მთელი ევროპის მასშტაბით, განმარტა ჩვენი პარტიის საქმიანობა დაარსების დღიდან და დასასრულ მოუწოდა ამხანაგებს ენერგიულ და თავგანწირულ მუშაობისაკენ. მოხსენება დაკვირვებითა და აღფრთოვანებით იქმნა მოსმენილი. შემდეგ მოხსენების გარშემო გაიმართა მცირეოდენი კამათი. მომხსენებელმა ყველას გასცა პასუხი.

ადგილებიდან მოხსენებაში გამოირკვა, რომ პარტიულ მუშაობისათვის ნიადაგი საკმაოდ მომზადებულია, მხოლოდ საჭიროა მეტი ყურადღება ცენტრალურ კომიტეტის მხრივ. ორგანიზაციები განიცდიან ფინანსიურ უსახსრობას და აგრეთვე ისეთ პასუხისმგებელ ამხანაგების უქონლობას, რომელსაც შეუძლიან საჯარო მოხსენებების წაკითხვა და მიტინგებზე გამოსვლა. კომპარტიასა და ხელისუფალ ადმინისტრატიულ ორგანოებთან დამოკიდებულება ყველგან ლოიალურია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იშვიათ შემთხვევებს. ზოგიერთ ახლად დაარსებულ ორგანიზაციას არ გააჩნია საკუთარი ბეჭედი და მანდატები პარტიულ წევრებისათვის.

მაზრაში მუშაობის შესახებ მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. გრიშა ხოფერიამ. მთელ მაზრაში დაახლოებით 34 თემია, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი დაბები, როგორიცაა ძველი-სენაკი, ბანძა, ნოქალაქევი, სუჯუნა და სხ. ჩვენი უახლოესი მიზანია ამ დაბებში პარტორგანიზაციის მოწყობა. ზოგან გვყავს მიმაგრებული ამხანაგი, ზოგან კი-არა. „სენაკის მაზრაში პარტიული მუშაობა მაშინ იქნება დაგვირგვინებული—სთქვა ამხ. მომხსენებელმა,—როდესაც მომავალ სამაზრო კონფერენციას დაესწრება ძლიერი ორგანიზაცია“. დაბოლოს ამხანაგი იძლევა წინადადებას დროებით სამაზრო კომიტეტის არჩევის. დრ. სამაზრკომში არჩეულ იქმნენ შემდეგი ამხანაგები: 1) მურზაყან გეგენავა (თავმჯდომარედ); 2) ანტონ ნადარეიშვილი (პასუხისმგებელ მდივნად); 3) აკაკი კუცია; 4) ჯაბა ჩიქოვანი და 5) გრიშა ხოფერია.

თათბირი დაიხურა ამხ. გ. მუშიშვილის გამამხნევებელი სიტყვით. პარტიულ მუშაობის აზრით გამსჭვალული დელეგატები დაიშალნენ საღ. 5 საათზე.

**თბილი გლეხი.**

## პროფ-წარმოებათა გამოფენა

**ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის კომისარიატი.** ექსპონატების საგანგებო შერჩევით, მათი სხვა და სხვაობით და სიმდიდრით, გამოფენაზე პირველი ადგილი უჭირავს სახ. ჯანმრთელობის განყოფილებას ეკუთვნის, რომელსაც ორი ოთახი მთელი კედლის ნაწილი უკავია; აქ არის მრავალი დიაგრამები, ქარტოგრამები, ესკიზები, გეგმები, ნახატები, ფოტოგრაფიები, სურათები სხვა და სხვა პრეპარატები, წამლები—ნამდვილი და ყალბი, სამედიცინო ზეთები და სხვა და სხვა; არის: პროტეზები და სხვ. შემდეგ მეცნიერების პატარა წამებულნი კურდღლის ბაჭიები, ზღვის გოჭები და ვირთხები, რომელნიც ესოდენ საჭიროებას წარმოადგენენ სამეცნიერო ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებისათვის.

მიუხედავად გამოფენისათვის მიცემულ მოკლე ვადისა და ფინანსიურ საშუალების ნაკლებობისა, სახ. ჯანმრთელობის კომისარიატის ნამუშევარი გამოფენაზე სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ჯანმრთელობის კომისარიატის ფარმაცევტიულმა განყოფილებამ გარდა დიაგრამებისა, ქარტოგრამებისა, ფოტოგრაფიებისა და სხვათა, გამოაფინა თავის ნაწარმოებთა მთელი რიგი ექსპონატებისა, წამალ-ბალახეულისა, რომელიც საქართველოში იზრდება, გალენური პრეპარატები, საცხებელი, ეფირიული ზეთები და სხვა მრავალი რამ საკუთარი ქიმიური ლაბორატორიისა. დედათა და ბავშვთა მფარველ ქვეგანყოფილებამ წარმოადგინა აგრეთვე საბებიო ინსტიტუტის მოწაფე ქალთა ნამუშევარი და ადამიანის სხეულის ორგანოთა მთელი რიგი მოდელებისა. ქიმიურმა ლაბორატორიამ გამოაფინა—ნამდვილი და ფალსიფიცირებული წამლები.

ყველაზე მეტად ყალბი წამლები გვხდება—ქინაში, (მის მაგიერ ანტრაციტი), ჭიის წამალი, ოპიუმი, თავის ტკივილისა (პირამიდონი) პირიდან სადებინებელი ქერქი, კოკაინი და სხვ. იქვე ჰკიდია ქარტოგრამმა, რომელიც გვაჩვენებს, რომ წამლების კეთილ-საიმედოება უდრის 70-პროც., უვარგისობა—19-პროც. და ფალსიფიკაციური—11-პროც.

ბაქტერიოლოგიურმა ინსტიტუტმა გამოაფინა მთელი რიგი პარაზიტების პრეპარატებისა, რომელნიც ადამიანისა და ცხოველთა ორგანოებში ბუდობენ. იყო აგრეთვე სამალარიო სადგურის პრეპა-

ამისათვის არ არის საჭირო სპეციალური ორგანიზაცია ამიერ-კავკასიის მაშტაბში.

ფაქტიურად ჩვენს ფედერაციას კომპეტენციებისა და დარგების ასეთმა განაწილებამ ხელიდან გამოაცალა საშოქმედო სარბიელი. არ რჩება არც ერთი ფუნქცია, რომელიც მოითხოვდეს ამ.-კავკასიის მაშტაბით ახალი ორგანიზაციის არსებობას. ერთის მხრით კავშირს გადაცემული აქვს საერთო ხელმძღვანელობა და დადგენილებების ცხოვრებაში გატარება, მეორეს მხრით კი ჯარის ორგანიზაცია ეწყობა ცალკე ერთეულების ფარგლებში, ასეთს შემთხვევაში პირდაპირ მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნება ადმინისტრატიულ-ორგანიზაციულ თვალსაზრისით უშუალო ურთიერთობა მოეწყოს ცალკე რესპუბლიკებსა და კავშირის შორის. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირმა რომ პირდაპირი დამოკიდებულება იქონიოს ცალკე რესპუბლიკებთან გარეშე ამიერ-კავკასიის ფედერაციისა ასეთი დამოკიდებულება მუშაობას უფრო ნაყოფიერს, სასარგებლო და ელასტიურს გახდიდა.

ადმინისტრატიულ—ორგანიზაციული საზომით პირველი კატეგორიის დაკავშირება და კომპეტენციების განაწილება არ მოითხოვს ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობას. წინაალმდეგ, მის კავშირის საერთო მუშაობაში მეტად შემაფერხებელი როლის თამაში შეუძლია.

მაგრამ სიმძიმის ცენტრი ე. დმოაქვთ პოლიტიკურ ნიადაგზედაც და საერთაშორისო თვალსაზრისით უყურებენ საკითხს! აქ, როგორც მკითხველსაც მოეხსენება, წამოყენებული იყო „ნიუანსების თეორია“. „სხვა და სხვა პირობებში ჩვენს საგარეო პოლიტიკას აქვს თავისი ნიუანსები. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, მაგალითად მდგომარეობენ ახლო აღმოსავლეთის კარებთან“—სწერდა ა. მიასნიკოვი ამ საკითხის შესახებ,—და ამიტომ ავტორის აზრით ახლო აღმოსავლეთში ანტანტა და მის აგენტებთან ბრძოლისათვის ჩვენი რესპუბლიკები უნდა მოქმედებდნენ ერთი ლითონიდან გამოჭედილ იარაღით“. ასეთი „ნიუანსების თეორია“ მეტად საინტერესო არის როგორც აბსტრაქტული მსჯელობის საგანი, მაგრამ პრაქტიკულ პოლიტიკისათვის ის ვერ გამოდგება. ჯერ ერთი საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა რესპუბლიკები მთლიანი ფრონტით უნდა გამოვიდნენ, გაერთიანებული ძალებით უნდა დაუპირისპირდნენ იმპერიალისტურს მოძალადეებს. კავშირი სწორედ ამისათვის იქმნება. საგარეო პოლიტიკის გეზი და მისი მიმართულება უნდა სწარმოებდეს ყოველ ფრონტზე კავშირის საშუალებით. საგარეო პოლიტიკის წარმოება არ უნდა შეეძლოს გარეშე კავშირისა და მისი ნებისთვისა, არც ერთს შემადგენელ ელემენტს. „თეზისები“ და მთელი პროექტი დაკავშირებისა იმ ნიადაგზე არის აგებული, რომ ის მოითხოვს მკიდრო კავშირის შექმნას საგარეო პოლიტიკაში, რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის საკითხს, რომელიც ნიუანსების“ სახელით ინათლება, აქ უშუალოდ დაინტერესებულნი არიან ყველა სოციალისტური რესპუბლიკები. ახლო აღმოსავლეთის საკითხი არის სასიცოცხლო საკითხი მთელი ჩვენი კავშირისა და აქ „ნიუანსებით“ გამოსვლა მეტად საზიანო იქნება. მართალია ჩვენი რესპუბლიკები მეტად არიან დაინტერესებულნი და მასთან ერთად დამოუკიდებლობის საქმის მოწესრიგებაშა, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს კავშირის საშუალებით და მისი პოლიტიკით. ამ პოლიტიკის შემუშავების დროს კავშირს შეუძლია მხედველობაში მიიღოს ცალკე რესპუბლიკების უშუალო ინტერესები ამ ნიადაგზე ააგოს თავისი სამოქმედო გეზი. ასე რომ „ნიუანსების“ თეორია არის კავშირის საქმე და არა ცალკე ერთეულებისა.

მაგრამ თუ „ნიუანსების“ თეორიას ბოლომდე ჩავყვებით ასეთი ნიუანსები არა მარტო ამიერ-კავკასიის ფედერაციას, ცალკე რესპუბლიკებსაც აქვთ უფრო მეტად. მაგ. მთელი რიგი სადავო კითხვებისა საქართველოს აქვს ოსმალეთთან ტერიტორიის გადამიჯვნისა და სხვა საქმეებში, რომელიც არ შეეხებიან სხვა რესპუბლიკებს. „ნიუანსების“ თეორიას თუ დაუჯერებთ აქ საჭირო გახდება საქართველოს დამოუკიდებელი გამოსვლა საგარეო ურთიერთობაში. ეს შეიძლება ასედაც მოხდეს, მაგრამ, რადგ და როდის მოხდარა „ნიუანსების“ ნიადაგზედ რთული სახელმწიფო სხეულების აგება! ნიუანსებისათვის ჩვენ ვერ შევქმნით დიდ პოლიტიკურ სხეულებს და ამისათვის უფრო დიდი ინტერესი და რეალური არგუმენტაცია არის საჭირო. ეს რეალური საფუძვლები და ინტერესთა განაღდება, როგორც დავინახეთ, კავშირმა იდვა თავს და მისი საშუალებით უნდა ხდებოდეს საგარეო საქმეების მოწესრიგება უმთავრესად; ასეთს შემთხვევაში ამიერ-კავკასიის ფედერაცია კვლავ ცარიელ რიყეზედ რჩება და მისი დამცველები მხოლოდ „ნიუანსების“ თეორიებით დასჭირდათ თავის გართობა.

როგორც დავინახეთ საგარეო პოლიტიკასა და ვაჭრობას, რკინის გზასა და ფოსტას, ჯარსა და ფლოტს განაგებს ცენტრი და თავისი აპარატის საშუალება მოყავს სისრულეში საერთო დადგენილებანი. ასეთს შემთხვევაში პირდაპირ უტოპია, ზედმეტი ბარგი ხდება ამიერ-კავკასიის ფედერაცია. ამ დარგების მოწესრიგებაში არ არის არც ერთი ადგილი, რომელიც მოითხოვდეს მის არსებობას, არ არის არც ერთი ფუნქცია, რომელიც საჭიროდ ხდიდეს ამიერ-კავკასიის მთლიანი აპარატის, სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცებას. სპეციალური ორგანიზაციის შექმნა და მისი სახელმწიფოებრივ ფორმებში ჩამოყალიბება ამიერ-კავკასიის ფარგლებში არ არის მიზანშეწონილი და გამართლებული ორგანიზაციულ და საგარეო პოლიტიკის საზომით.

**ხ. დევდანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატები, რომლის გარჩევა შეიძლებოდა იქვე მიკროსკოპ ქვეშ.

**ამ.-კავკასიის რკ. გზის ჯანმრთელობის განყოფილება.** მოთავსებული იყო ჯანმრთელობის განყოფილების „ვაგონით. სხვა ექსპონატებს შორის ყველაზე მეტად ირჩევა—მოძრავი სამედიცინო სავადმყოფო ლაბორატორიის მოქმედება და სოც. დაზღვევის ორგანიზაციები.

**შრომის კომისარიატი.** აღნიშნულ სახალხო კომისარიატს გამოფენაზე აქვს მცირე კუთხე და წარმოდგენილია მხოლოდ დიაგრამებით და ქარტოგრამებით, რომელიც თუ დაწვრილებით, მრავალ საგულისხმო მასალას იძლევა. ჩამოთვლილია ანგარიშები სხვა და სხვა წარმოებებთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებათა, სამუშაო ქირისა—არსებულ ბონების მიხედვით, საკონფლიქტო კომისიის მუშაობისა და სხვ.

უმუშევართა საერთო რიცხვიდან მოსამსახურეებს ხვდება: უცროსი პერსონალის—69,4 პროც. საშუალოსი—25,9 პროც. და უმაღლესისა—4,7 პროც, ნაციონალური შემადგენლობა უმუშევართა შორის უსწავლელთა შემდეგია: სომხობა—25,2 პროც. რუსები—14,8 პროც და დანარჩენიც—18 პროც.

წრეულს, სოფლის სამუშაო უნარის მქონე მამაკაცთაგან აყვანილია შრომის კომისარიატის მიერ (18—50 წლამდე) 260760 კაცი, ამათგან ვაჭარი 2984, ხელოსანი—2450, მჭედელი 1116 და მეჩექმე-მეწაღენი—1068, ნუსხაზე აყვანილია აგრეთვე მსხვილ ფეხა საქონელიც: ხარი:—213914, კამეჩი—53681, ცხენი—41069 და ვირი—5471. შრომის კომისარიატის წლიურ გამოფენაზე მოცემული ანგარიშები ეკუთვნიან მიმდინარე წელს.

გამოფენის მოსაწყობად ტფილისის ქალაქის აღმასკომს გადადებული ჰქონდა 30—მილიონი მანეთი და შრომის კომისარიატს—15 მილ. გამოფენა გაგრძელდება ამა ნოემბრის 21-დე, ამასთანავე პროფესიონალური და საგანმანათლებლო ექსკურსანტები დაშვებული იქნებიან გამოფენაზე უფასოთ.

# თეატრი და ხელოვნება

## ახალი თეატრი.

**სალომეა. ოსკარ უალდისა.** ნოემბრის 10-ს ტფილისში გაიხსნა ახალი თეატრი, სადაც მუშაობს რუსული დასი კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით. მარჯანიშვილი ერთი გამოჩენილი რეჟისორთაგანია, როგორც ვიცით მან უარყო ტრადიციები მოსკოვის სამხატვრო თეატრისა, სადაც ის აღიზარდა და შეუდგა ძიებას ახალი, თავისებური თეატრის შესაქმნელად. ყოველივე ეს დიდ ინტერესს იწვევს ახალ გახსნილ თეატრისადმი.

უალდის „სალომეა" შედევრად ითვლება თანამედროვე ლიტერატურაში. ის ისეთი მთლიანი და დამუშავებული მაღალი მხატვრული ნაწარმოებია, რომ თვით ავტორი მუსიკალურ ნაწარმოებს ადარებს. აქ ყოველი სიტყვას თავის ადგილი აქვს, როგორც სონეტში. აქ იმდენი ფერადები და გრძნობათა მოტივები ჰარმონიულად შეზავებული ერთ მთლიან სიმფონიად, რომ მსახიობის და რეჟისორის ნიჭს დიდ გასაქანს აძლევს. ამიტომაც იქნა არჩეული ეს პიესა ახალი თეატრის გასახსნელად. მარჯანიშვილმა უსათუოდ გაამართლა სახელწოდება ახალი თეატრისა და გვაჩვენა სრულიად ახალი დადგმა. შეიძლება არ დაეთანხმოთ ამ ახალ მიმართულებას, არ გაიზიაროთ ეს, მაგრამ ვერ უარყოფთ, რომ ახალი თეატრის რეჟისორი დიდი ხელოვანია და ჰქმნის ახალ ფორმებს, ეძებს ახალ გზებს სასცენო ხელოვნებაში. მიუხედავად ამისა უნდა აღვნიშნოთ, რომ დადგმა არ იყო უნაკლო, რის მიზეზად უნდა ჩაითვალოს სცენის სიპატარავე და აგრეთვე ის, რომ ყველაფერის მომზადება ვერ მოესწროთ და პიესა თითქმის საჩქაროთ იქნა გათამაშებული: გამოცხადებული 8 საათის ნაცვლად წარმოდგენა დაიწყო თითქმის ათის ნახევარზედ.

რა იყო ახალი ამ დადგმაში? უწინარეს ყოვლისა მუსიკა. პიესას თავიდან ბოლომდი მიჰყვება მუსიკა და ერთი ორად აძლიერებს წარმოდგენის შთაბეჭდილებას. უკრავდა სიმფონიური ორკესტრი, რომელიც არ სჩანდა.

შეერთება დრამისა და მუსიკის, რომელიც მოჰყვება მოქმედების განვითარებას, რასაკვირველია მისაწონია და მისაღები მით უფრო, რომ მეტცლის მიერ საგანგებოდ ამ პიესებისათვის დაწერილი მუსიკა კარგია და ორკესტრიც კარგად ასრულებდა.

შემდეგ აღსანიშნავია ჩვეულებრივი დეკორაციების ნაცვლად ფერადების გამოყენება. პიესა საერთოდ გათამაშებული იყო „შირმებში". უკანა ფარდა კი წარმოადგენდა თითქოს ფერადი ნაჭრებისაგან შეკერილ ფონს: ცისფერი, წითელი და შავი ფერები, ზოლებად და ნაჭრებად ერთმანეთში არეული, იცვლებოდა მოქმედების განვითარებასთან ერთად შესაფერი ხელოვნური განათებით და უსათუოდ ხელს უწყობდა შთაბეჭდილებას ისე, როგორც მუსიკა. ჩვეულებრივ დეკორაციებზედ შეჩვეულ თვალს, რა თქმა უნდა არ მოეწონება ასეთი „დეკორაცია" ფერადებისა, მაგრამ საქმე იმაშია, თუ რა მიზანი დაუსახავს რეჟისორს; აჩვენოს მაყურებელს ადგილი, სადაც მოქმედება სწარმოებს, თუ ხელი შეუწყოს ძლიერი და მთლიანი შთაბეჭდილების შექმნას. მარჯანიშვილს აქვს მეორე მიზანი „სალომეას" დადგმის დროს და მხატვარ გამრეკელის მიერ შეზავებული ფერადები, რომელიც ასე ჯადოსნურად იცვლება დრამის განვითარებასთან ერთად,—უეჭველად მიზანს აღწევს და შთაბეჭდილებას აძლიერებს.

მესამედ უნდა აღვნიშნოთ გრაცია მიხვრა-მოხვრაში და ჟესტიკულიაცია.

აქ ახალი იყო მოქმედების მოთხოვნით მიღებული პოზის გაქვავება, გახანგრძლივება. ზოგჯერ მომქმედი პირი დიდხანს რჩებოდა ერთ პოზაში უძრავად ან ხელებ აპყრობილი, ან დახრილი, ან სხვა, თითქოს ქანდაკება იყოსო. ასეთ გაქვავებულ პოზას დრამაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს მოქმედებისა და მოძრაობის დროს. ეს შთაბეჭდილებას უფრო ანელებს და არა აძლიერებს.

რაც შეეხება ჩაცმულობას და გრიმს, ამაზედ ვერაფერს ვიტყვით, რადგან ვერაფერი გავარჩიეთ: მოქმედება სწარმოებს მთვარის შუქზედ და სცენაზედ ნახევრად ბნელოდა. სინათლეს არ მოუმატეს მაშინაც, როცა სცენაზე ორი ქანდილი შემოიტანეს. მთვარიანი სალომე შეიძლებოდა უფრო ნათელი ყოფილიყო.

ერთი შენიშვნა კიდევ დადგმის მხრივ, ტეტრარქის სასახლის დარბაზში ასასვლელი მაღალი კიბე არ იძლეოდა სანახაო შთაბეჭდილებას. უნდა ყოფილიყო უფრო განიერი და მონუმენტალური.

რაც შეეხება შესრულებას—ყველანი კარგად თამაშობდნენ, მაგრამ მოველოდით უკეთესს.

ძალიან კარგი იყო ალენევის ქალი სალომეას როლში. შინაგანად გადმოგვცა მსახიობმა ეს მომენტი, როცა სალომეაში იღვიძებს ვნების ქარიშხალი და თანდათან ძლიერდება. აღწევს დაუძლეველ ძალას. განსაკუთრებით კარგი იყო უკანასკნელ სცენაში იოკანანის მოკვეთილ თავთან. მაგრამ წაახდინა ცეკვა „შვიდი საბურველისა". ცეკვა, რომლისთვისაც ტეტრარქი მზადაა მისცეს, რასაც სთხოვს, არ შეიძლება ასეთი ყოფილიყო. მაგრამ რა გაეწყობა, თუ დრამის მსახიობი მოცეკვავეც არაა?

ირლანტოვი ვერ იყო კარგი იოკანანი. ძლიერ ყვიროდა და სულ არ ჰქონდა შეთავსებული წინასწარ მეტყველების გამომცემი ინტონაცია ხმისა. უდაბნოში მარტოობითა და შემდეგ ორმოში ტყვეობით ტანჯული წმინდანი ვერ განასახიერა ირლანტოვმა.

კრუჩინინი ნიჭიერი არტისტია, მაგრამ მისი იროდი ანტიპა უფრო აქტიური ტრაგედიის გმირს მოგვაგონებდა, ვიდრე იუდეელთა ტეტრარქს, თუმცა უკანასკნელის ბიწიერება კარგად გამოთქვა.

სუსტი იყო აგრეთვე იროდიადას როლში ვრუბლევსკის ქალი. უნდა გამოეჩინა მეტი ბიწიერება და ვნებიანობა.

დანარჩენი როლები პიესაში არაა რთული და მათი ამსრულებლებიც თავის ადგილზედ იყვნენ.

დალეგანდა.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება № 18.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

საქართველოში რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის გაუქმებისა და საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან სიმშილობის შედეგებთან მებრძოლი ცენტრალური კომისიის დაარსების შესახებ.

ახალი მოსავლის მოწევის გამო, სიმშილობის უშუალო სიმწვავე რამდენიმეთ განელდა; თავის თავად მოისპო განსაკუთრებულ და არაჩვეულებრივ ღონისძიებათა საჭიროება სიმშილობასთან ბრძოლის საქმეში.

დღეს-დღეობით მთავარ საზრუნავ საგანს წარმოადგენს სიმშილობის შედეგის ლიკვიდაცია, სახელდობრ—ხელის შეწყობა დანგრეულ მეურნეობათა აღდგენისათვის და სიმშილობის გამო დაობლებულთა და უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომელთაც დაკარგეს თავიანთი მეურნეობა; ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ომისა, შრომისა და სიმშილობის ინვალიდების და აგრეთვე უპატრონო ბავშვთა დახმარების საქმეს.

ამის გამო სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტთან 1921 წლის აგვისტოს 4-ს დაარსებული რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი და მისი ადგილობრივი ორგანოები დაშლილ იქნეს ამა წლის ოქტომბრის 15-დან.

2. სიმშილობის შედეგების სალიკვიდაციოთ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყოს სიმშილობის შედეგებთან მებრძოლი ცენტრალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სოკოლოვსკი და წევრები: თითო პასუხისმგებელი წარმომადგენელი უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატისა, სასურსათო სახალხო კომისარიატისა, ბავშვთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიისა და ინვალიდთა დამხმარე კომისიისა, ერთი რწმუნებული საერთაშორისო მუშათა დამშეულთა დამხმარე კომიტეტისა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ორი წარმომადგენელი.

დაევალოს აღნიშნულ კომისიას დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტთან ერთად შეიმუშაოს დებულება კომისიის ორგანიზაციისა და მისი მოქმედების შესახებ.

3. დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ყველა საშუალებანი და ვალდებულებანი გადაეცეს ახლად დაარსებულ კომისიას.

4. განგრძობილ იქნეს შემოწირულებათა შეკრება, გადასახადებიდან ანარიცხის აღება და სხვ. და მთელი სალიკვიდაციო აპარატი გადაეცეს ახლად დაარსებულ სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომისიას.

5. დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ყველა სახსარი ნივთით და ფულებით ინსპექციის შემოწმებისას გადაეცეს ახლად დაარსებულ სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომისიას.

6. ბავშვთა, ინვალიდთა და სხვ. დაწესებულებანი, რომელიც არსებობდა დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ხარჯზე გადაეცეს სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომისიას.

7. დადგენილება ესე გავრცელებულ იქნეს ავტონომიურ რესპუბლიკების—აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის დამშეულთა დამხმარე კომისიებზე და აგრეთვე ყველა ადგილობრივ, საოლქო, საგუბერნიო, სამაზრო, სათემო და სხვ. კომისიებზე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ნოემბრის 11.

—

### ბრძანება № 9.

სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის საბჭოების.

1. ს. ს. ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმის 10 ნოემბრის დადგენილების თანახმად, საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ კონტრ-რევოლიუციასთან, სპეკულიაციასთან, საბოტაჟთან, სამსახურისადმი ბოროტ მოქმედების საწინააღმდეგო საბრძოლველად—დაინიშნა ამხ. ეპიფანე კვანტალიანი.

2. იმავე დადგენილების თანახმად, ამხ. მიხეილ ხუტულაშვილი დაინიშნა საქართველოს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისრის მოადგილედ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასკომის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ნოემბრის „ 11 „

—

### დადგენილება № 17.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს;

1. 1922 წლის 15 ნოემბრიდან შემოღებულ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და აფხაზეთის სოც. საბჭ. მოკავშირე რესპუბლიკის მთელ მიწა-წყალზე.

2. სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლისთანავე გაუქმებულ იქნეს ყველა სხვა ნორმა, რომლითაც კოდექსის შემოღებამდე დაწესებული იყოს სისხლის სამართლით დასადები სასჯელის საფუძველი და ზომა.

3. სისხლის სამართლის კოდექსი გავრცელებულ იქნეს ყველა იმ დანაშაულებრივ ქმედობაზე, რომელიც კოდექსის შემოღებამდე სასამართლოს წესით არ ყოფილა განხილული.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ნოემბრის „ 9 „

## ჩვენი ფოსტა

გარო-ს დაუყოვნებლივ შემოიარეთ რედაქციაში.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

ს. ს. ს. რ. მიწად-მოქმედების
სახალხო
კომისარიატი
ამით აცხადებს, რომ მის მიერ 19 ნოემბერს დილის 10 საათზე სოფელ გურჯაანში მოწვეულია
კახეთის მევენახეთა
ყრილობა
შემდეგის წესით და პროგრამით:

1. ყრილობას შეადგენენ: 1) თითო წარმომადგენელი სოფლის აღმასკომებისა, 2) ორ-ორი წარმომადგენელი ყოველივე სოფლიდან, სადაც მისდევენ მევენახეობას, 3) თითო წარმომადგენელი სოფლის კოოპერატიულ დაწესებულებებიდან, 4) მმართველი ორგანოები არსებულ მევენახეთა კოოპერატიულ კავშირებისაგან, 5) თითო წარმომადგენელი სამაზრო აღმასკომისა, 6) თითო წარმომადგენელი სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებისა, 7) თითო წარმომადგენელი სამაზრო კოოპერატივთა კავშირისა, 8) სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლნი, განსაკუთრებული მოწვევით და 9) სათათბირო ხმით ყველა დაინტერესებული მევენახე და სპეციალისტი.

2. ყველა წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს შესაფერი მანდატი გამომგზავნელ დაწესებულებიდან.

3. ყრილობას ხსნის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი და შემდეგ ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს.

4. ყრილობის სამუშაო საგანს შეადგენს წერილობითი და სიტყვიერ მოხსენებათა განხილვა, თანახმად დამტკიცებული პროგრამისა და მათ შესახებ დადგენილებების გამოტანა.

პროგრამა ყრილობისა:

1. მოხსენება კახეთის მევენახეობაში ფილოქსერის გავრცელებით შექმნილ მდგომარეობაზედ. მომხსენებელი ს. ჩოლოყაშვილი.

2. მოხსენებანი ადგილებიდან ვენახების მდგომარეობაზედ.

3. საჭირო ღონისძიებანი ვენახების აღდგენისათვის (ამერიკულ ვაზის სანერგების და დედა ვაზის გაშენება, საცდელ საჩვენებელი ვენახების მოწყობა, ნიადაგის გამოკვლევა და მათი აღნიშვნა რუკაზედ, პრაქტიკულ სკოლების და კურსების მოწყობა და ფართე აგრონომიული დახმარება და სხვა). მომხსენებელი საორგანიზაციო ბიურო.

4. ვენახების აღდგენისათვის საჭირო ორგანიზაციის შექმნა, მისი სტრუქტურა და საშუალებანი. მომხსენებელი საორგანიზაციო ბიურო.

5. მიმდინარე საკითხები.

ყრილობის მომწყობი ბიურო მოთავსებულია მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მევენახეობისა და მეღვინეობის ქვე განყოფილებაში.

თავმჯდომარე ბიუროსი: ი. ანდრონიკაშვილი.
მდივანი: ვ. ბიბილაშვილი.

142 3—1

პირველ ხარისხოვანი სასტუმრო
„ორიანტი"
ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პრ. № 9.
საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის განათება, ტელეფონი. სასტუმროსთან რესტორანი
ევროპიული და აზიური სამზარეულოთი, საუკეთესო
მზარეულთა ზედამხედველობით.
საუზმე, სადილი, ვახშამი, სასმელები. სადილები ეძლევა ყოველს 2—$5^1/_2$ საათამდე.
143
ფასები დაკლებულია.

ტირაჟი 1880
საქართვ. უმაღ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.